# ჩანგი

№ 40

პარასკევი, 21 აგვისტო 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტის სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გონორარის შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილის უკან დასაბრუნებლათ საჭიროა საფოსტო მარკების გამოგზავნა. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელად საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:**

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან., ნახევარი წლით **4** მან.

| **ქალაქ გარეთ** | **თფილისში** |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

**რედაქციის ადრესი:**
რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**
Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**



ქვრივი კატარინა გეურქოვისა, მაშო პაპოვისა და სერგო პაპოვი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ. პირველი საყვარელი შვილის, მეორე ძმის და მესამე ცოლის ძმის

**ყორყუ (გეურქ) გეურქოვის**

არდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირასვ, 23 აგვისტოს. მიცვალებულს წაასვენებენ სუფ-გეურქის ეკლესიაში და წირვა-პანაშვიდის გადახდის შემდეგ დაკრძალავენ ხოჯევანქის სასაფლაოზე



შაბათს, 22 აგვისტოს, დანიშნულია ნოვოროსიის უნივერსიტ. სტუდენტის

**ვიქტორ ვოლქვაძის**

ორმოცის გადახდა, რაიცა მოხდება სოფ. მიქელ-გაბრიელის წმ. გიორგის ეკლესიაში 12 საათზე. აცხადებს მეუღლე მისი ლიზა იოსების ასული, დედა ბარბარე და მამა სინო ზითანის ძე, და მარიამ და სიძე ილია ხარაბაძე.



**გაიხსნა ახალი**

**თფილისის**

**კერძო სამკურნალო**

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 896).

**ექ. ე. გ. ფედოროვა:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. გ. დამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ნ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. გ. ს. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური **გამოკვლევანი**, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—41



**დავკარგე**

სოფ. დიდი-ჯიხაიში **ვერცხლის საათი № 195566** ჩემთვის ძვირფასი **ჯაჭვით**. ჯაჭვი აქვს ორთქლმავალის და ვაგონების გადასაბმელის ფორმის. (Фаркопель) ვსთხოვ, მნახველს და ნაცნობ-მეგობრებს, თუ ნახონ შემატყობინონ. ადრესი: Тифлисъ Главн. Мастерскя, Чертежнику Александру Вашакидзе.

(1—1) ალ. ვაშაკიძე.



**კბილის ექიმი**

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)



**ქ. ქუთაისში**

**თ. მთავრიშვილის**

**წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი**

**„ბუთანი“,**

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ. (თვ. 0—9)



**ბათომში** საჩქაროთ საჭიროა **აგენტი**

ჟურნალ-გაზეთების გასასყიდათ. შემოსავალი თვეში იქნება არა ნაკლები 30 მანეთისა. ზალოგათ საჭიროა 70 მანეთი. უპირატესობა მიეცემა ბათომში მცხოვრებს და გაზეთების გაყიდვაში დახელოვნებულ პირს. დაწვრილებით პირობის გაგება შეიძლება თფილისში ამხ. „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძესთან.



**მასწავლებელი**

**თ. კიკვაძე**

**ამზადებს** ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუხგალტერო** კურსებისათვის. **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის საშეგირდოთ.**

**მიიღება ანბანის უცოდინარი** პატარა ბავშვები, რომელთა **ჯგუფში ჩაწერა** უკვე დაწყებულია.

**მასწავლებლათ მოსამზადებელთა** პირველ ჯგუფში უკვე ეწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

**სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.**

**ქირა** თითო თვის **წინდაწინ.**

**ადრესი:** ვერა, ოლღის ქუჩა. ზემელის აფთიაქის ახლო, **№ 17.** 1 სექტემბრიდან ადრესი გამოიცვლება. (18—6)



**ახალსთუმანში**

კბილის ექიმი

**სამსონ ვაშაყმაძე**

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.


## ადგილობრივი პრესა

—

„ვინ იცის, შეიძლება თეორიაში ჩვენ უფრო მარცხნივ წავიდოდით, ვინემ ბ.ბ. „ჩანგის“ რედაქციიდან, მარა ჩვენ ხომ თეორიებზე არ ვმსჯელობთ, პრინციპის სიწმინდეს არ ვიცავთ, არამედ პრაქტიკულათ ვწყვეტთ ერობის საკითხს“.

ასე იმეორებს ბ. ირ. გულისოვი იმას, რაც ამ დღეებში „დროებამ“ უკვე გამოთქვა, მარა სხვისი საბუთის გადაღეჭვა ყოველთვის როდი წარმოადგენს საბუთს. „დროებას“ შეუძლია ეს სთქვას, იმიტომ, რომ მან აღიარა, რომ ეს პრინციპი არ წარმოადგენს საუმჯობესოს და მხოლოდ ტაქტიკურის მოსაზრებით იცავს მას. რამდენათ მართალი და სწორია ასეთი ტაქტიკა სხვის პრინციპებზე გადახტომისა და თავისის დაფარვისა, ეს სულ სხვა კითხვაა, მარა როცა ბ. ირ. გულისოვიც იმასვე იმეორებს სწორეთ სასაცილოა. თქვენ იცავთ ადამიანის მაგიერ ქონებისთვის უფლების მიცემას და ამას უწოდებთ „სამართლიან“ საარჩევნო სისტემას და ყოვლად ფართო საარჩევნო უფლებებს. აი მისი სიტყვები:

„ჩვენ ვურჩევთ სექციას, ნუ დადგებიან მსხვილ თავად-აზნაურთა დაცვის მოლიპულ გზაზე.

ჩვენ მომხრე ვიქნებოდით (мы бы стояли) პროპორციონალ. წარმომადგენლობის ამ სამი კურიიდან, თუ ბოლოს და ბოლოს აუცილებელ კურიალურ სისტემას შევურიგდეთ.

თუ მიწათმფლობელთა სიეზდის მონაწილეთა მიერ გადასახადის რაოდენობა საერთო გადასახადის 40 პროც. შეადგენს, მაშინ ხმოსნების რიცხვიც ამ სიეზდიდან 40 პროც. უნდა უდრიდეს.

მხოლოდ ასეთი სისტემის შემწეობით შეიძლება **სამართლიანი** წარმომადგენლობის შემოღება მცხოვრებთა ყველა წრეებიდან“. („ზაკ.“ № 155).

შემდეგ „რაზნოჩინცებს“ პასსიური საარჩევნო უფლება მაინც მიენიჭოსო და დაასკვნის. მაშასადამე, „ჩვენ ვემხრობით ყოვლად ფართოთ გავრცელებულ იქნეს საარჩევნო უფლებაო“.

ბ. ირ. გულისოვი, როცა ამას სწერდა ალბათ, ეგონა, რომ სექციის მუშაობასაც ანგარიშს უწევდა და დემოკრატიზმსაც იცავდა, მარა რა რჯიდა მას ეს კურიალური სისტემა და საარჩევნო უფლების ქონებისთვის მინიჭება „სამართლიან“ არჩევნებათ გამოეყვანა?

ორში ერთი: ან ბ. ირ. გულისოვმა არ იცის, რომ ასეთი არჩევნები „სამართლიანობას“ ოდნავათაც არ შეიცავენ, ან და არ იცის რას სწერს. ის იმედებს ისე გაუტაცნია, რომ ყოველი წინააღმდეგობა და ყოველი კრიტიკა მთავრობის აზრის და შეხედულებისა ამ „იმედების“ დაღუპვათ მიაჩნია. საბრალო ირ. გულისოვი! თუ მან „ზაკავკაზიეს“ № 158 მეთაური წაიკითხა, სადაც გადაჭრითაა ნათქვამი:

„რუსეთის შინაურ პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას რომ ვაკვირდებით, უნდა ვაღვიაროთ, რომ სამართლიანია ბევრი მოღვაწის შიში (საერობო) თათბირის მუშაობის ბედ-იღბალშიო“.

თუ ეს წაიკითხეთ, ბ. ირ. გულისოვო, მაშინ უიმედობის კუპლეტი შეიძლებოდა ამისთვის გემღერათ. აი სად ნახავდით თქვენ ნამდვილ უიმედობას. ჩვენ კი უიმედო ვართ სფერების, მარა უიმდოთ არ ვუყურებთ მომავალს და ღრმათ გვრწამს, რომ ამ მომავალს ხალხი გასჭედს, ის ხალხი, რომლის მოძრაობამ მიუხედავათ თავის დამარცხებისა ამ თათბირამდე მიგვიყვანა. „ჩანგი“ აქ ხედავს ძალას და თქვენი ყურადღების დამსახურებას არ ცდილობს. მას ყავს ყურის დამგდებიც და გამგონიც

* * *

„დროებამ“ თავის პოზიციას ერთი უკანასკნელი საბუთი მიუმატა. ახლა ისიც იმის მომხრეა, რომ

„ყოველი ჩვენი სიტყვა, ყოველი ჩვენი წერილი უნდა იწყებოდეს ჩვენის რწმენის გამოცხადებით, რომ გარეშე სახელმწიფოს წესწყობილების დემოკრატიზაციისა ხსნა არ არის, მაგრამ, როცა საზოგადოებას კითხავენ, რომელი ვირჩევნია: 30 ათასიანი ცენზი მიწათმფლობელობის სისტემისა, თუ ერთ მანეთიანი ცენზი ქონებრივობის ან საგარდასახადო სისტემისა, როცა უეჭველათ ამ ორიდან უნდა აირჩიო სადღეისოდ ერთ-ერთი, მაშინ შენივე დემოკრატიული პრინციპი გავალებს მეორე აირჩიო, თუ არ გინდა, რომ სულ გამოგრიცხონ პრაქტიკულ საქმიდან“.

ჩვენ ამ აზრის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მარა საქმე იმაშია, რომ მდგომარეობა ასეთი არ არის. ჩვენ არავინ არ გვეუბნება, ან დიდი ცენზი აირჩიეთ, ან პატარაო. თუ თქმათ ჩავთვლით ზევიდან გამოთქმულ სურვილს, იგი 90 წლების დებულებას ბევრათ არ სცილდება და თვით „დროება“-მაც იცის, რომ ასეთ მცირე ცენზის არჩევით ის გულს ვერ მოულბობს სფერებს და მას ვერ მიაღებინებს. არც დუმა, არც სამინისტრო მცირე ცენზს არ შეიწყნარებს. მაშასადამე, მათ ლმობიერებაზე დაყრდნობა ფუჭი ოცნებაა. და ეს იმედი იმდენათ სუსტია, რომ თვით იმედებით აღსავსე ირ. გულისოვის ჭაბუკ გულსაც კი ყოველი კრიტიკული ხმა დემოკრატიისა ამ იმედების გამქრობი გონია. მაშასადამე, დარჩა მეორე იმედი: ესაა იმედი იმ ხალხის, რომელსაც ყველაზე მეტი წილი უდევს ამ „რეფორმატორულ“ მიმდინარეობის შექმნაში. და ვინც დემოკრატათ თვლის თავის თავს, ის ამ ძალაზე დაყრდნობას უნდა ცდილობდეს და მაშასადამე, მისი ინტერესების და პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 აგვისტო.

### სპარსეთი.

**თეირანი.** დაჭერილი მოაედუსო სალთანეს, ბალეშაში და მუჯდუსლამში პოლიტიკურ სასამართლოს თავმჯდომარეს და გაზეთ „ნიზამ-ვატამის“ გამომცემელს სამუდამოთ გაძევება გადაუწყვიტეს. ყოფილი შახის ბიძა პრინცი ნაიბუს სალთანე, ბალათურ ჯენგი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი საად-უდ დოვლე, ყოფილი სადრაზამი, ფინანსთა მინისტრი და ყოფილი შახის ცხრა მომხრე, აგრეთვე ზარაფხანას მოიჯარადრე ჰაჯი იზმაილი, რომელთაც სასჯელი გადაწყვეტილი აქვთ, ეხლა ოსმალეთის და რუსეთის საელჩოს ბესტში სხედან. ამნისტიას ხვალ, 12 საათზე ელიან.

### ოსმალეთი.

**სტამბოლი.** სულთანი, მემკვიდრის იუსუფ იზზედინის დიდი ვეზირის და სხვების თანხლებით იახტა „ერტოგრულ“-ზე გაემგზავრა ბრუსსაში. დილის 10 საათზე სულთანი მუდანაში მოვიდა, საიდანაც მაშინვე გაემგზავრა რკინის გზით ბრუსსაში, იქ მივიდა შუადღეზე. მას ადგილობრივი მთავრობა და აუარებელი ხალხი შეხვდა. სულთანმა ინახულა სამრეწველო გამოფენა. სულთანი შაბათს დაბრუნდება. რადგან ხილმი-ფაშა არ არის, მინისტრთა საბჭოში თავმჯდომარეობს შეიხ-ულ-ისლამი.

გოდეიდში და იემენში ორი პოლკის გარდა კიდევ გაგზავნეს 10 ბათალიონი და ორი ბატარეია.

### რუსეთი

**სიმფეროპოლი.** სახელმწიფო საბჭოს წევრათ არჩეულ იქნა რიკოვი.

**ბალახანა.** სოფელ ბურცევში დაიწვა 22 სახლი, პური, ვოლოსტის სამმართველო, საერობო საავათმყოფო და წიგნთსაცავ სამკითხველო, წიგნებით და ავეჯით. ზარალი დიდია.

**ტამბოვი.** სოფელ მორდოვოში დაიწვა სავაჭრო ბაზარი და ეკლესია. ცეცხლში დაიღუპა ერთი კაცი. ზარალი დიდია.

**ვოზნესენსკაია.** სტანიცა პერეპოლენოიში დაიწვა 77 მოსახლე.

### ხოლერა.

**რიგა.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 17, მათ შორის ნემეცთა თეატრის მსახიობი ქალი, მოკვდა 4. ოთხ დღე და ღამეში ავათ გახდა 21, მოკვდა 6.

**კოსტრომა.** ავათ გახდა 3, მოკვდა 1, მაზრაში ავათ გახდა 1, მოკვდა 1.

**არხანგელსკი.** პრინეესკის მაზრაში ავათ გახდა 1, მოკვდა 1.

**პერმი.** არხანგელო პატიისკის ქარხანაში მოკვდა 1.

### საზღარ-გარეთ.

**ბუდაპეშტი.** საერთაშორისო საექიმო კონგრესზე ბელგიის პროფესორ ბორდეს და პროფესორ გერტვიგს, ბერლინიდან, მიესაჯათ პარიზის პრემია 3000 ფრანკი.

**პარიზი.** რამბულიეში მინისტრთა საბჭოს თათბირზე გენერალი ტრემო დაინიშნა უმაღლეს სამხედრო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტათ. ამავე სხდომაზე სამხედრო მინისტრმა მოხსენება გააკეთა ტყვიის მტყორცნელთა შესახებ.

**მელილია.** სოფელ ახადარაზე თავს დაესხა მტერი. ის უკუ აქციეს.

**ათინა.** ათინის სააგენტო იტყობინება: გამოირკვა, რომ სამხედრო მოძრაობის მიზანი იყო მოეხდინათ არმიის რეორგანიზაცია და მართვა-გამგეობის რეფორმა და დინასტიის ან კონსტიტუციის წინააღმდეგ მიმართული არ იყო. მავრომისალისმა, მიიღო რა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, გამართა აფიცრებთან მოლაპარაკება და ამით თავიდან აიცილა სახელმწიფოს საშინელი სისხლის ღვრა. ფიქრობენ, რომ პალატა ნდობას გამოუცხადებს მინისტრ-პრეზიდენტს და დახმარებას გაუწევს გაატაროს კანონ-პროექტი არმიის გასაძლიერებლათ და ეკონომიური რეფორმების მოსახდენათ, მართვა-გამგეობის გასაუმჯობესებლათ და გადასახადების და სესხის მოსაწესრიგებლათ. მინისტრ-პრეზიდენტს აზრათ არა აქვს დაუთმოს ვინმეს და თუ ამ რეფორმების გატარებაში პარტიული ინტრიგები ხელს შეუშლის, სამსახურიდან გადადგება.

**ბელგრადი.** ახალ გამომჟღავნების გამო, კაბინეთმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა. მეფემ პაშიჩს და სტოიანოვიჩს მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა. ორივემ 24 საათი ვადა ითხოვა.

**მექსიკა.** მონტერეიში დღემდე 1000 კაცის გვამი აღმოაჩინეს.

**ვენა.** ვენის პოლიციის უფროსმა განცხადება გამოაქვეყნა, რომ ქუჩაში შეკრებილ ხალხის წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული, რადგან უკანასკნელ დემონსტრაციის დროს ძალადობა იხმარესო.

პოლიციის პრეზიდენტის მოადგილე ბარონ გორუპმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ნაციონალურმა დემონსტრაციამ ქუჩური „ბუნტის“ ხასიათი მიიღო, რაც ავსტრიას ჩირქს სცხებსო.

ბრბომ უკანასკნელ დღეებში დაანგრია ჩეხების სასწავლებლები და ამავე დროს ნემეცების ქონებაც არ დაინდეს.

**სტოკჰოლმი.** აქციონერულ საზოგადოების „სეპარატორი“-ს 750 მუშამ მუშაობა დაიწყო. ცნობები მიიღეს, რომ პროვინციის სხვადასხვა ქალაქებშიც მუშაობა განაახლეს.

**როტტერდამი.** ოფიციალური ცნობით ხოლერით ავათ არის 18, საეჭვო ავათ 74. არავინ მომკვდარა.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**მდგომარეობა თეირანში.** „თ. ფ.“-ს სწერენ: „მდგომარეობა თეირანში თანდათან უვარესდება. პროვინციებში რეაქციონური მოძრაობა ფრთებს იშლის. გამარჯვების დღეებმა თითქოს ყველას თავზარი დასცა. ეხლა თანდათან ირკვევიან და რაც მოხდა ანგარიშს უწევენ. ყველა გრძნობს, რომ სახელმწიფო ხაზინის ასეთ სიკოტრესთან, რეგულიარულ ჯარის უყოლობის გამო და თან ისეთი ანარქიის დროს, როგორც გამეფებულია მთელ სპარსეთში, სახელმწიფო მაშინის მართვა-გამგეობა არც ისე ადვილია, როგორც გამარჯვების წინა დღეებში ეგონათ. მთავრობის წევრთა შორის შური და პირადი უკმაყოფილება თან და თან ფეხს იკიდებს. სერდარ-ასადზე განზრახულმა თუ შემთხვევითი თავდასხმამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობის წრეებზე. ამ დღეებში ექს-შახმა და შემდეგ ექს-პრემიერ მინისტრმა მიიღო „რ. ს.“ კორესპონდენტი, რომელსაც ექს-შახმა უთხრა, რომ პირადათ დიდი წინააღმდეგია მისი ბედის ასე გადაწყვეტის. როგორც სჩანს, მე მომატყუეს ჩემმა მახლობლებმაო. ექს-შახი კატეგორიულათ უარს ყოფს იმ ხმებს, ვითომ ის წინააღმდეგი იყოს კონსტიტუციის. დაბოლოს, ექს-შახმა უკმაყოფილება განაცხადა, რომ მას ჩამოერთვას ყველა მამულ-დედული ძვირფასი ქონებები, როგორც მემკვიდრეობით გადმოცემული, ისე პირადათ შენაძენი. ამ პირადი საკუთრების ჩამორთმევას ის დიდ უსამართლო ფაქტათ აღიარებს. დასასრულ ექს-შახმა წამოიძახა: „მზათ ვარ ვიხეტიალო ჩემ სამშობლოში, უბრალო დერვიშის სახით, ვინემ წავიდე სადმე და იქ ფუფუნებით განვცხრებოდეო“.

ყოფილი პრემიერიც თავს მოტყუებულათ სთვლის.

**ახალი პარტია.** სპარსეთში შედგა ახალი პარტია „ერთობა და პროგრესი“. ცენტრალური კომიტეტი არის თეირანში. პარტიამ გამოუშვა პროკლამაცია, სადაც ახსნილია პარტიის მიზანი და პროგრამა. პროგრამა შესდგება ორი ნაწილისაგან: საიდუმლო და აშკარა. წევრათ მიიღება ყველა, განურჩევლათ სარწმუნოებისა. პარტიის კრება წელიწადში ერთხელ ხდება. პარტია მიზნათ ისახავს, უმთავრესათ კონსტიტუციის დაცვას.

**ფაზულას შვილის განცხადება.** ამას წინათ თეირანში ცნობილი რეაქციონერი ფაზულა ჩამოახრჩვეს. მისმა შვილმა მემკვიდრეობაზე უარი განაცხადა და მეჯლისს გადასცა. ეხლა მას დროებითი მეჯლისში შემდეგი განცხადება შეუტანია: „მთელმა სპარსეთმა იცის, რომ მე მამაჩემს დიდი ხანია გავშორდი. ჩვენ ერთი მეორის პოლიტიკური მტრები ვიყავით. ამას გარდა მე ვიცოდი თუ როგორი საშვალებით გამდიდრდა ასე უეცრათ მამა ჩემი. მამა ჩემის ჩამოხრჩობის შემდეგ მე ერთი უმდიდრესი კაცთაგანი გავხდი. ასე ფიქრობს ყველა ჩემი გვარეულობა. ამიტომ მე ვაცნობებ მეჯლისს რომ მე არ მსურს ვისარგებლო მამის ქონებით. არ მსურს მისი არც ერთი კაპეიკი. მამაჩემის მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას ვაძლევ დროებით მეჯლისს სულ და სრულს მის განკარგულებაში ვტოვებ. სამაგიეროთ, ვსთხოვ ხალხს მიყოს წყალობა და დღეიდან ჩამოხრჩობილ ფაზულას შვილათ ნუღარ მთვლიან“.

**დაკარგული ძვირფასეულები.** გამოირკვა, რომ სასახლის ძვირფასეულობა სანახევროთ დაკარგულია. ხაზინის რევიზიის დროს იპოვეს „პლაშჩი“, რომელშიდაც გახვეული იყო 50,000 ოქრო. ფიქრობენ, რომ ეს ფულები ან დაივიწყეს, ან ვინმემ იჯიბაო.

### ოსმალეთი

**სამღვთო ომი.** „ბირ. ვედ.“ ატყობინებენ, რომ მეამბოხეთა ბელადებმა გადასწყვიტეს სამღვთო ომი გამოუცხადონ ევროპიელებს. ევროპის კონსულებმა მიმართეს თავიანთ მთავრობებს, რომ მათ დაუყონებლივ ენერგიული ზომები მიიღონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპიელებს დიდი განსაცდელი მოელისო.

### რუსეთი

**შუამდგომლობა კრასკოვსკის განთავისუფლების შესახებ.** „ჭეშმარიტები“ ყოველ გვარ საშუალებებს ხმარობენ, რომ იუსკევიჩ-კრასკოვსკი ციხიდან გაანთავისუფლონ. იმათ მიმართეს იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც უპასუხა რომ მისი გასამართლების საქმე სავსებით ფინლიანდიის სასამართლოს ხელშია და მისი განთავისუფლებაც მათი საქმეაო.

**ინტენდანტთა შორის.** სენატორ გარინის რევიზიამ იმდენი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა, რომ ეხლა ვითომ გონს მოვიდენ და როგორც გაზეთები იუწყებიან, ფიქრობენ განსაკუთრებული რევიზორების დანიშნვას, რომლებმაც წელიწადში სამხელ უნდა მოახდინონ საინტენდატოების რევიზია.

**რამდენ არაყს სვამს რუსეთი?** 1908 წელს რუსეთში ყოფილა 2,676 სახელმწიფო არაყის სახდელი ზავოდი. გაუყიდიათ 86,004,205 ვედრო. თვითეულ სულზე მოდის წელიწადში 25 ბოთლი. წმინდა შემოსავალი ხაზინას ქონია—509,298,677 მ.

**ბურცევი.** ბურცევი სტამბავს გაზეთებში ცნობებს პროვოკატორ ქალ ზინაიდა გერნგრის შესახებ, რომელიც 15 წელიწადს რაც სხვადასხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მონაწილეობას ღებულობდა. იგივე განაგებდა ბომბების „სკლადებს“ და საჭირო პირებს ღძებნიდა დამხმარეთ აზეფს.

### ისპანია

**რა ხდება ბარსელონაში?** გაზეთ „მატინს“ სწერენ: ბარსელონაში ისევ განახლდა ბომბების სროლა. ამ დღეებში ბომბებმა ორ ადგილას იფეთქა. ერთი ქალების სატუსაღოს წინ, სადაც მრავალი რევოლიუციონერი ქალია დამწყვდეული. მეორე ბომბი ყაზარმის ახლო გავარდა. ყაზარმებში სალდათებს გარდა ბევრია აგრეთვე დატუსაღებული მეამბოხენი. მთავრობა სერიოზულ ზომას ღებულობს მოსალოდნელი არეულობის ჩასაქრობათ, მაგრამ იმავე დროს არ მალავს, რომ, თუ ვინიცობაა, ისპანიის ჯარი ისევ დამარცხდა მაროკოში, ბარსელონაში ისევ დაიწყება არეულობაო. აფრიკაში ჯარის გაგზავნის წინააღმდეგ აგიტაცია თან და თან ძლიერდება. მთელი ინტელიგენცია პროტესტს აცხადებს ომის წინააღმდეგ.

### საზღვარ-გარეთ

**გაფიცვა შვეციაში.** ბურჟუაზიული პრესსა ამხედრდა გაფიცვის წინააღმდეგ. ისინი სასტიკათ ჰკიცხავენ გაფიცულების ტაქტიკას. განსაკუთრებით ჰკიცხავენ მუშათა ბელადებს, რომლებიც ვითომ, მათი აზრით, ცდილობენ, რომ ერთგვარ დიქტატურას დაუმორჩილონ მთელი შვეციის საზოგადოება. გაზეთი „ოსტ.“ სწერს, რომ მუშები ძალიან გულს გავიდენ და თავის მოთხოვნილებაში ძალიან შორს წავიდენო. საზოგადოება თავის პირადი ავტორიტეტის დასაცავათ მოვალეა არავითარი მოლაპარაკება არ გამართოს თავის მტრებთან; საჭიროა დარწმუნდენ მუშები, რომ გაფიცვა მათ ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს. და რაც მალე დარწმუნდება ამაში, მით უკეთესია, როგორც მათთვის, ისე საზოგადოებისათვისო. ასე მღერიან ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც გაფიცვის წინა დღეებში ვითომ კიდეც ექომაგებოდენ გაფიცულებს.

— რადგანაც გაფიცვის კომიტეტს ფული აღარ ყოფნის, გადასწყვიტეს ნაღდი ფულის მაგიერ გაფიცულებს აძლიონ მათ მიერ დამზადებული საკრედიტო ბილეთებიო.

**ს.-დემოკრატების კრება.** ამ დღეებში ბერლინში მოხდა ს.-დემოკრატების საარჩევნო კრება. კრებას დაესწრო 700 დელეგატი. წაკითხულ იქნება სხვა და სხვა მოხსენებები. სხვათა შორის კასის მდგომარეობის შესახებ და სხვ. ანგარიშში სხვათა შორის მოხსენებული იყო, წელს პარტიულ ორგანიზაციებში ოთხი პოლიციის ჯაშუში აღმოჩნდაო, რომელთა შორის, ორს საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირათო. პოლიტიკურ მომენტზე ილაპარაკა „ფორვერტსის“ ერთ რედაქტორთაგანმა შტრებელმა. მან სასტიკ კრიტიკაში გაატარა მემარცხენეთა ბლოკის იდეია, რადგან კავშირი თავისუფალ მოაზრეებთან შეუძლებელია, როგორც კონსერვატორ და საყოველთაო საარჩევნო უფლების მოწინააღმდეგეებთან. ჩვენ არაფერი გვაქვს სახეში. ჩვენი არმია დღითი დღე იზრდება. ჩვენ უკვე 17 მილიონი სამრეწველო მუშები გვყავს. ესენი ყველა სოციალ-დემოკრატების ლაშქარია. დასასრულ ორატორმა მწუხარებით აღნიშნა, რომ ზოგი პარტიული მწერლები თავიანთი წერილებით შუღლს და განხეთქილებას სთესენ. ეს განხეთქილება მით უფრო სახიფათოა ეხლა, როცა წინ საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლა გვიდგას წინ პრუსიაში. თუ კიდევ გაგრძელდა ასეთი უთანხმოება არჩევნების დროს, ცხადია, ჩვენი გამარჯვება საეჭვო გახდებაო. შტრებელს შემდეგ ილაპარაკა ცნობილმა რევიზიონისტმა ბერშტეინმა. მის გამოსვლისას დამსწრეებმა ირონიულათ წამოიძახეს: „ოჰოო“! ბერშტეინმა განაცხადა, რომ ჯერ მემარცხენეთა ბლოკზე ლაპარაკი ზედ მეტია: ნაციონალ-ლიბერალები, რასაკვირველია, გამორიცხულ უნდა იქნენ ბლოკიდან. ისინი არსით არ არიან მოსათმენი, არც შინაურ პოლიტიკაში, არც გარეშე პოლიტიკაში. ისინი შოვინისტებია, ისინი ინუკრებია. ცოტა უკეთესები არიან თავისუფალ-მოაზრენი, მაგრამ მუდმივი ბლოკი მათთანაც შეუძლებელიაო. რაც შეეხება პრუსიის ლანდტაგის სპეციალურ საარჩევნო სისტემის საკითხს, უნდა ვაღიაროთ, რომ ს.-დემოკრატებს არ შესწევს იმდენი ძალა, რომ მოიგოს დემოკრატიული არჩევნები. ზოგიერთ შემთხვევებში სოციალ-დემოკრატებს ბევრი საერთო რამ აქვთ ლიბერალებთან და ამიტომ მათთან დაახლოვება შესაძლებელია, საზოგადოთ, [illegible] და ლიბერალებს შორის წინააღმდეგობის-გაღრმავება უეჭველია [illegible]. (ხმაურობა და პროტესტი). ს.-დემოკ. შეუძლიათ უფრო ხშირათ ერთად მიიღონ კენჭის ყრაში მონაწილეობა თავისუფალ მოაზრეებთან, ვინემ სხვა პარტიებთან. დაახლოვება ლიბერალებთან ზოგიერთ კითხვებში სრულიად არ დაამცირებს კლასობრივ თვით შეგნებას. ტაქტიკურ კითხვებში საჭიროა ერთგვარი თავისუფლება და არა ყოველ ფეხის გადადგმაზე ყვირილი: „არიქა! სამშობლო განსაცდელშია!“ არ უნდა გვეშინოდეს „ერესის“. პარტიის ძირითადი მეცნიერული მეთოდი შეურყეველია. ბერშტეინის სიტყვამ, შფოთიანი პროტესტი გამოიწვია. თუმცა აქა-იქ ტაშიც დაუკრეს.

# ახალი ამბები

**მთავრობის მამასახლისები.** ნამესტნიკის მოადგილეს საჭიროთ დაუნახავს ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ სოფლის საზოგადოებებში მთავრობის მამასახლისები და დარაჯები (მცხოვრებლების ხარჯით) ექვსი თვით კიდევ დარჩენ თავიანთ ადგილზე. აი ეს საზოგადოებანი: გულეიკარისა, ლიხაინდრავისა (სენაკის მაზრა), ჩასავალისა (რაჭის მაზრა), მერევისა, ჩხიროულისა (შორაპნის მაზრა), აბასთუმანისა, დარსელისა, განარდელიას-მუხურისა, ჩაკვინდენისა, ყულის-კარისა (ზუგდ. მაზრა), სკარბელისა, ჩოჩხათისა, მიქელ-გაბრიელისა, ბასილეთისა, ლანჩხუთისა, შემოქმედისა, სურებისა, და ასკანისა (ოზურგეთის მაზრა). რაც შეეხება ჩშაპატის, ხალიკავის და ექსის სოფლის საზოგადოებებს, აქ, ნამესტნიკის მოადგილის განკარგულებით, მცხოვრებთ უფლება ეძლევათ თვითონ აირჩიონ მამასახლისები იყოლიონ დარაჯები. დარაჯებს ხაზინა შეინახავს („ზ.“).

**ფულის გამტაცებლები.** თფილისის პოლიციამ ცნობა მიიღო, რომ თფილისში იმყოფება ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა დროს შუა აზიის რკინის გზის საფოსტო მატარებლიდან ერთ მილიონამდე მან. მოიტაცაო. თფილისის პოლიცმეისტერმა მძარცველების მოძებნა მიანდო ერთ ბოქაულს, რომელმაც აღ-

# საპყრობილეში

### 3. საერთო კამერაში.

(გაგრძელება)

— თქვენ ავათ უნდა იყოთ! ძალიან გამხდარი ხართ ამ ბოლო დროს! მეუბნება ციხის უფროსი.

ერთი შევხედე მას, პირდაპირ თვალებში შევხედე და—ქება მას—ვერ გამისწორა თვალები, ვერ გაუძლო ჩემს პირდაპირ შემოხედვას.

კუთხეში ექიმი ზის. მე ვხედავ მის სახეზე, ან და იქნებ მეჩვენება მე ასე, ვამჩნევ მის სახეზე დამცინავ ღიმილს... ვღელდები, მინდა შევიმაგრო თავი და უცებ ვაძლევ პასუხს ციხის უფროსს:

— Слушайте, какъ Вамъ не стыдно говорить пошлости... Вы, вѣдь, человѣкъ съ бородой!.. ეს უკანასკნელი სიტყვა, человѣкъ съ бородой, ჩემ გულში უდრიდა ზარბაზნის ტყვიას, მიწასთან გაასწორებდა მეგონი იმას.

ციხის უფროსს ფერმა გადაჰკრა, ბაგეს კბილი დააჭირა, ერთი მე შემომხედა, გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ შევატყვე სძლია თავს და ნელი ხმით მითხრა:

— დამშვიდდით... დამშვიდდით! გავს, რომ მესამე დღეა არაფერი გიჭამიათ: მე არ ვაძლევ პასუხს.

— თქვენ არავის არ დაუსჯიხართ, თქვენ შეგეძლოთ მიგეღოთ სადილი! და აგრეთვე საწოლიც!

— იცით ნიკოლაი დიმიტრიევიჩ!.. წამოიძახა უცებ ექიმმა,—იქნება მაგი ახალი საშვალების მომხრეა, ორგანიზმის გასაახლებლათ!

— ეს რა საშვალებაა ასეთი? ეკითხება უფროსი.

— ამ დღეებში ერთმა პარიჟელმა ექიმმა დასწერა, რომ თუ ადამიანს სურს ორგანიზმი განაახლოს და გააჯანსაღოს, ამიტომ საჭიროა კუჭი გაიწმინდოს და შემდეგ ამისა ორი თუ სამი დღის განმავლობაში ერთი მისხალი რა არის, ერთი მისხალი საჭმელი არ მიიღოსო. ჰო და, აი ეგების მაგას სურს პრაქტიკაზე გამოსცადოს იმ ექიმის—გვარი დამავიწყდა—ნაამბობი.

ექიმი ამბობს ამას, მიცქერის მე და ულვაშები უცინის.

— შენ სიტყვებზე მე ერთი პასუხი მაქვს, აი ეს! ვამბობ მე და მისკენ ვაფურთხებ—მიიღე ეს ნიშნათ ღრმა ზიზღისა, ხოლო თუ არ მოვკვდი, ყოველთვის ასე მოგესალმები...

ის ზის და არ ინძრევა. ნაფურთხი მას არ მოხვედრია. ციხის უფროსი კი დგება ფეხზე და რეკს. შემოდის ზედამხედველი.

— წაიყვანეთ ეს ზედა კარიდორზე, მეხუთე კამერაში, ყველაფერი—წიგნები, საწოლი, სადილი, მიეცით... წადით!

—

რა თქმა უნდა, ცხადი იყო, თუ რაში იყო საქმე. როგორც სნეულის, ჩემი დასჯა ვერ ნახეს შესაძლებლათ. საჭმელის წართმევა, საწოლის წართმევა იმათთვისაც შეუძლებელი იყო. სამაგიეროთ, გადამიყვანეს მეხუთე კამერაში, სადაც განსაკუთრებული რეჟიმი არსებობს, განსაკუთრებული სისასტიკე და თვალ-ყურის დევნება, ეს ის კამერაა, რომელშიაც დღე და ღამეში სამჯერ შემოცვივიან, ერთიან ატიტვლებენ ტუსაღებს და ჩხრეკენ, აუცილებლათ სამჯერ დღე და ღამეში—დილას, საღამოს და შუა ღამეზე. არღვევენ ბალიშებს, რომლებიც თივით არის გატენილი. აკაკუნებენ კედელზე, იატაკზე, ათვალიერებენ ტუსაღის სხეულს, არ ტოვებენ არაფერს, ცინიკურათ, ველურათ აფათურებენ ხელს ყოველგან და გადიან. ათ წუთში ერთხელ აუცილებლათ მოადგებიან რკინის უჯრედებიან კარებს და აქედან დახედვენ თუ რა ხდება შიგ; ხუთ ტუსალს არ შეუძლია ერთად მოიყაროს თავი და საერთო საუბარი დაიწყოს, ერთი სიტყვით, აქ ყოველივე ღონისძიებაა მიღებული, რომ მართლაც მონანატრონ სიკვდილი ადამიანს. სხედან აქ გძელ ვადიანი კატორღელები, უმეტესობა უვადოთ, სამუდამოთ, ხოლო უმცირესი ვადა არის აქ თხუთმეტი წელი. ყველა, ვისაც კი სიკვდილი მიუსაჯეს და შემდეგ ეს სასჯელი შეუცვალეს სამუდამო კატორღათ, ექსპროპრიატორები, მკვლელები, ასაფეთქებელ ნივთიერების შემნახველნი, ყაჩაღები, ყველა ამათ ამწყვდევენ მეხუთე კამერაში, სადაც მე გადამიყვანეს. როცა მე შევედი იქ, ჩემს გარდა იჯდა 30 კაცი. სასტიკათ გამჩხრიკა ზედამხედველმა, გადაათვალიერა ჩემი ნივთები (ორიოდე წიგნი და ჩაინიკი), გასტეხა შუაზე „ბოდლოს“ საპონი და დამიკეტა კარი. შამომაცვივნდენ ახალი ამხანაგები, ახმაურდენ ბორკილები. ყველა დაბორკილია, ჩემს მეტი. იმათ, ვისაც უვადო კატორღა აქვს მისჯილი ხელებშიც ბორკილები აქვთ შეყრილი. შემცხვა, როცა ამდენ ადამიანში მხოლოდ მე ერთი ვიყავი უბორკილოთ.

წარმოუდგენელია ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ხელებში ბორკილებ შეყრილი ადამიანის დანახვა. რამდენი ტანჯვა, რამდენი დამცირება, რამდენი გაჭირვება უნდა სდევდეს ამას შედეგათ! მათ შეუძლიათ პირთან მიიტანონ ხელები, შარვალი ჩაიცვან, დანარჩენი კი არაფერი არ შეუძლიათ. ვერც პერანგს გაიძრობენ, ვერც რაიმეს ჩაიცვამენ, ვერც ზურგს მოიფხანენ, როცა აქაური ბაღლინჯო უკბენს მათ. მხოლოდ ჩხრეკის დროს რამდენიმე წუთს შეაძრობენ მათ ხელში ბორკილს და ორ კვირაში ერთხელ, როცა აბანოში მიდიან. და ეს ასე უნდა გაგძელდეს შვიდი წელიწადი, ეგრეთ წოდებული „кандальный срокъ“-ი. მთელი შვიდი წელი უნდა ატარონ იმათ ეს, დღითი და ღამე, განუწყვეტლათ. აბა წარმოიდგინეთ, როგორი იქნება მათი ძილი, მათი მოსვენება, მათი ნერვები. წარმოიდგინეთ წუთები, როცა მათ მიეძინებათ, ძილში კი იგრძნობენ, რომ სული ეკმევათ, რომ გულაღმა დაწოლილთ მოუნდებათ ნებივრათ გაშალონ ხელები, ცალი ხელი თავქვეშ შემოიდონ, მეორე კი გამართონ, გაიწოდინონ, თავისუფლათ გადატრიალდენ... ამის მაგიერ კი, რკინა ბოროტათ კბენს მკლავში, გაჯავრებული ხმაურობს... წარმოიდგენთ ეს! და მოიხარეთ ქედი მათ წინაშე, ვინც აგრე იცავს თქვენ მყუდროებას და აგრე სჯის თქვენ მტრებს, დამნაშავეებს... ქედი მოიხადეთ მათ წინაშე!.. ოსანნა მათ!

ვიმეორებ, მე შემცხვა მათ წინაშე, როცა მარტო ჩემი თავი წარმოვიდგინე უბორკილოთ ამდენ დაბორკილ ადამიანებში, შემცხვა და თან რაღაც სინიდისის ქენჯის მაგვარი ვიგრძენი—თითქოს სხვათა შორის მეც დამნაშავე ვიყავი იმაში, რომ ისინი იტანჯებიან, ესეც კია, რაც თავი მახსოვს ეს გრძნობა, თითქოს მე ვიყო დამნაშავე სხვების ტანჯვისა, ყოველთვის იღვიძებს ჩემში, როცა ვინმეს დავინახავ დაჩაგრულს ან დამცირებულს. მახსოვს ერთხელ ქუ—სში რკინის გზის სადგურის ახლო ტუსაღების ეტაპს გადავეყარე და ისე შემაწუხა სინდისმა, რომ საჩქაროთ გადავუხვიე გზაზე და გავშორდი მათ. ეს არ იყო შებრალება, სრულიადაც არა, ეს იყო სინდისის ქენჯნა.

ეი, რას შეგროვდით, გაშორდით ერთმანეთს! დაიყვირა ზედამხედველმა, როცა ჩემს გარშემო შეჯგუფული ტუსაღები დაინახა—ერთმანეთს გაშორდით!

თავდაპირველათ მე უამბე მათ ჩემი გადმოყვანის მიზეზი და დავეკითხე ღირს თუ არა განვაგრძო წყალსა და პურზე ყოფნა? ერთხმათ გადაწყვიტეს, რომ ეს არ არის საჭირო, რომ არავინ ამისთვის არ დამემდურება.

ჩვეულებრივი გამოკითხვა, თუ რა ვიცი ახალი, ან რა იციან მათ, თუ ვინ რა პარტიას ეკუთვნის ჩქარა დაგველია.

ჩემი ახალი ამხანაგების დიდი უმრავლესობა პოლიტიკურია — ჯაშუშების მკვლელები, ექსპროპრიატორები, ასაფეთქებელ ნივთიერების შემნახველნი და სხ. არის აგრეთვე ათიოდე ჩვეულებრივი მკვლელი და ყაჩაღი, მაგრამ ეხლა ესენიც პოლიტიკურებათ თვლიან თავს და სამერმისოთ „როცა ხალხი გაიმარჯვებს“, იმის (ხალხის) სამსახურში აპირებენ დალიონ სიცოცხლე... ანარქიზმს აქაც ყავს თავისი მომხრეები, მაგრამ ამ ანარქისტების შესახებ საჭიროა ორიოდე სიტყვის თქმა. მკითხველი შეცთება თუ იფიქრებს, რომ ანარქისტები თეორეტიულათ მცოდნე არიან იმ მოძღვრების, რომლის მომხრეთ თავს აღიარებენ. ისიც შეცთომა იქნება თითქოს ისინი, გარდა მცირეოდენი გამოკლებისა, ეკუთვნოდენ იმ შარლატანების რიცხვს, რომლებთაც რევოლიუციის გათავებასთან ერთათ ანარქისტების დროშას ქვეშ წამოყვეს თავი და ძარცვა-გლეჯას მიყვეს ხელი. აქ დაახჩვეს ერთი დამნაშავე, რომელმაც დაიჭირა ქალაქ გარეთ მწვანილის გამყიდავი მოხუცი ქალი, წაართვა სამი მანეთი და როცა მან ყვირილი დაიწყო, მოჰკლა ის. სამსაჯულოში და სატუსაღოში, ის ყოველგან ამბობდა, რომ ანარქისტია, რომ რევოლიუციონური მიზნით გაძარცვა ის ბებერი და მოჰკლა. აი ასეთ „ანარქისტების“ რიცხვს არ ეკუთვნიან ისინი. ხშირათ ხდება, რომ ისინი დატუსაღებამდე, ან სოც.-რევოლიუციონერები იყვენ და გაანარქისტდენ მხოლოდ აქ, სატუსაღოში. უმთავრესათ თავიანთ თავს ანარქისტ-ინდივიდუალისტებს უწოდებენ. მათი გაანარქისტება უმეტესათ მათიშეუგნებლობის შედეგია, ვიდრე შეგნების, აგრეთვე მათი აუტანელი მდგომარეობის. ისინი ღრმათ დარწმუნებულნი არიან, რომ იქ, სადაც დგანან ცხოვრებაში ეგრეთ წოდებული მემარცხენე პარტიები,

...აჩინა ყველა მძარცველები და კიდეც ...დაპატიმრა. ფულის მოტაცება შემდეგ ...რობებში მომხდარა: მდგომარე წლის ...ანვარში პეტერბურგიდან კრასნოვოდ-...ით ფოსტით მიქონდათ თურმე დიდ-...ლი ფული; ქუთაისის გუბერნიის მცხო-...რებბა ალექსანდრე პავლესძე თოფუ-...იას და თფილისის მოქალაქეს ნიკოლ. ...ტრესძე ივანოვს, რომლებიც არა ერთ-...ელ ყოფილან შენიშნული სხვადასხვა ...ოროტმოქმედებათა ჩადენაში, შეადგი-...ეს ჯგუფი და მოაწყვეს ფულის გატა-...ცების პლანიც. ამ მიზნით ივანოვი თა-...ვისი ამხანაგებით მივიდა კრასნოვოდ-...კში და მატარებლის მოსვლას დაუცა-...და. როდესაც მატარებელი სადგურთან ...იყო გაჩერებული, ივანოვი, წინდაწინ ...მზადილი გასაღებით მცველების შეუ-...ნიშნავათ მივიდა ვაგონთან, გააღო სა-...ფოსტო ვაგონის კარი, შევიდა შიგ და მი-...იმალა, მატარებლის წასვლის შემდეგ ის ...შეუდგა განზრახვის სისრულეში მოყვა-...ნას, რისთვისაც საჭირო იარაღები თან ...ქონდა: გასჭრა იატაკი და ვაგონის კე-...დელი, საიდანაც შეიძლებოდა ფულიანი ...ტომრების გადაგდება. კაზანჯინის სად-...გურის ახლოს, როდესაც მატარებელმა ...შემოუხვია და გახვეული იყო კვამლში, ...გადმოაგდო ერთი ტომარა ფული, რო-...მელშიაც 450 ათასი მანეთი იყო და ...ცოტა ხნის შემდეგ თითონაც გადმოხტა. ...იქვე მას შეხვდა ორი ამხანაგი, რომ-...ლებმაც აიღეს ფულიანი ტომარა და ...იქვე მიწაში ჩაფლეს და ერთს ამ-...ხანაგთაგანს, რომელიც სადგურ ჩა-...რჯუისში სცხოვრობს, თვალყურის ...დევნება დაავალეს. რამდენიმე ხნის შემ-...დეგ ივანოვმა ამოთხარა ფული და იქვე ...გაიყვეს. ზოგიერთებმა ამ ფულით თფი-...ლისში გახსნეს ბაღები, გასტრონომიუ-...ლი მაღაზიები და სხვ. იმავე პირებმა ...ყალბი საბუთებით 1908 წ. სად. ტაშ-...კენტსა და ჩარჯუის შუა მიიღეს 330,000 ...მან., რომელიც გაიყვეს. გაჩხრეკის დროს ...ზოგიერთებს აღმოაჩნდათ ტაშკენტში ...გატაცებული ქაღალდის ფულები. პო-...ლიციის ცნობით იმავე ჯგუფს რუსეთის ...სხვა და სხვა ალაგას ბევრი სხვა ბოროტ-...მოქმედებაც ჩაუდენია. ყველა საბუთები ...გადაეცა ტაშკენტის სამოსამართლო პა-...ლატის პროკურორს, რომელიც ხსენე-...ბულ საქმეს იძიებს. ამ საქმეზე თფილის-...ში დააპატიმრეს 20-მდე კაცი, რომელ-...თაგან 4 გაანთავისუფლეს. სხვა სატუსა-...ღოებში ამ საქმეზე ამ ჟამათ ზის 3 კა-...ცი. („კავ.").

**რკინის გზის სკოლების** პარალე-ლურ განყოფილებათა შესანახათ, გზათა მინისტრის განკარგულებით, გადიდო 78,449 მან. ამ თანხიდან 37,835 მან. გადადებულია თფილისის რკინის გზის სკოლისათვის.

**დაპატიმრება.** 19 აგვისტოს გოლოვინის პროსპ. პოლიციამ დააპატიმრა ერთი უცნობი, რომელმაც გორის მაზრის, სოფ. კავთისხევის მცხოვრები სოლ ომონ ზეჟანაშვილი უწოდა თავის თავს. როგორც გამოირკვა, ის აღმოჩნდა რაჭის მაზრის, სოფ. ცახის მცხოვრები ალექსანდრე სოხაძე. მან განაცხადა, რომ ზეჟანაშვილის სახელზე გაცემული პასპორტი იყიდა ქ. ლანკერონში უცნობ თათრისაგან. სოხაძეს პასუხისგებაში აძლევენ სხვისი პასპორტის ტარებისათვის.

**ახალი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.** სენაკის მაზრის სოფ. ბანძის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე არსებულ ფოსტის განყოფილების მაგიერ დაარსდეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ამ საქმისთვის ბანძის ფოსტის განყოფილების უფროსის აზრით, საჭიროა 1,875 მან. წლიურათ.

**ლექციები მეურნეობის შესახებ.** მთავრობის ნებართვით, 27 აგვისტოდან ერევანში დაიწყება ლექციების კითხვა მეურნეობის შესახებ. ლექციას დაესწრებიან განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლები. ლექციების კითხვა შეწყდება 5 სექტემბერს.

**სავალდებულო დადგენილებანი.** გამოქვეყნებულია სავალდებულო დადგენილებანი ქ. სოხუმისა და სოხუმის ოლქისათვის. დადგენილების თანახმათ სოხუმის სახლის პატრონები ვალდებულნი არიან თავიანთი სახლების წინ ჩამოჰკიდონ ფარნები, რომლებზედაც აღნიშნული უნდა იყოს ქუჩის სახელი, სახლის ნომერი და სახელი და გვარი. აკრძალულია სხვა და სხვა ხმების გავრცელება მთავრობის მოხელეთა მოქმედების, შიმშილობის და სხ. შესახებ. ამასთანავე აკრძალულია კრებებისა და ყრილობების მოხდენა არსებულ კანონიერ წესების გარეშე.

**უბედური შემთხვევა.** 19 აგვისტოს რკინის გზის ლიანდაგთან თფილისის პოლკის სადგომის მახლობლათ ქვიშისა და სილის თხრის დროს მიწა ჩამოინგრა და ქვეშ მოყვა თფილისის მაზრის მცხოვრები ოსიპ გრიკუროვი. გრიკუროვმა საგრძნობლათ იტკინა მთელი ტანი, რისთვისაც ის გაგზავნეს მიხეილის საავათმყოფოში.

**გორის სამასწავლებლო** სემინარიის ინსპექტორი მიროპიევი გადაყვანილ იქნა ორენბურგის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორათ.

**საავათმყოფო სოფლათ.** გადაწყვეტილია თიანეთის მაზრაში დაარსებულ იქნას სასოფლო საავათმყოფო. ერთი საავათმყოფო უკვე არის სოფ. ახმეტაში. განზრახვა აქვთ ხსენებული საავათმყოფო მოათავსონ სოფ. თიანეთში ან და სოფ. ხევსურ-სოფელში.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 19 აგვისტოს ჩხრეკის დროს მე-3 საპოლიციო ნაწილში დააპატიმრეს 18 უპასპორტო, მე-9 15, მე-10—13.

**თფ. პოლიცმეისტერმა** ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც პოლიცია ვალდებულია თვალყური ადევნოს ვედროსშედებზე მოსიარულეთ, რომლებიც არ ასრულებენ ამას წინათ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას: დამით უფარნოთ დადიან და სხ.

**სხვა და სხვა ამბები.** 19 აგვისტოს თფილისის მოქალაქემ მამედ სადუად-ოტაკი-ოღლიმ განაცხადა პოლიციაში, რომ ორმა უცნობმა ჯიბგირმა კახეთის მოედანზე ამოართვა მას ჯიბიდან ქისა 5 მან. ფულით. პოლიციამ დააპატიმრა ორი პროფესიონალური ჯიბგირი არტაშეს და სტეფანე არუთინოვები. ერთი მათგანი გამოტყდა.

— 18 აგვისტოს სპარსეთის ქვეშევრდომმა სოიდ მეჰდი ახედერ-ოღლიმ განაცხადა პოლიციაში, რომ ქალაქის სახლის № 44-ის მეეზოვემ მოჰპარა მას 100 ც. ნუსვი 10 მ. ღირებული, ახალუხი—7 მ. 50 კაპ. და შარვალი 3 მ. 50 კ. ღირებული. პოლიციამ დააპატიმრა ხსენებული სახლის მეეზოვე მუსრო აგეტისოვი.

— 19 აგვისტოს სასტუმრო „შუელასარის" პატრონმა, თფ. მოქალაქე მიხეილ ნასყიდაშვილმა განაცხადა, რომ სამი თვის განმავლობაში მის სასტუმროდან სისტემატიურათ იპარავდნენ საცვლებს და ტანისამოსებს. ამის გამო პოლიციამ ზომები მიიღო და იმჟამით დააპატიმრა ახალციხის მოქალაქე გეგორქ სურინიანცი, რომელიც იმავე სასტუმროში ცხოვრობდა. სურინიანცს გაჩხრეკის დროს უპოვეს მოპარული საცვლები.

## რით მიდიან სკოლებში?

—

ახლოვდება სამოსწავლო წლის დასაწყისი. მიეშურებიან სოფლის მასწავლებლები სკოლებისკენ. კვლავ განახლდება ახალთაობის წვრთნა, აინთება მეცნიერების ლამპრები.

კვლავ ეებმიან მოწაფე-მასწავლებელნი შრომის უღელში. ორივე მხარე სიხარულით ელის ამ დროს... ერთს უხარის ოცნება კეთილის თესლისა, მეორეს ცოდნის შეძენა, ახალი სიტყვის გაგონება...

მარა მოაქვთ კი რაიმე ახალი ჩვენს მასწავლებლებს ამ ჟამათ სკოლებში? შეიძინეს კი რამე ამ მხრივ ამ სამი თვის განმავლობაში? ეცადნენ, ან მასწავლებლები ან მთავრობა რაიმე ცოდნა შეემატებინათ ამ დასვენების დროს აქმ რიგად აა კანონებივ სადაროსთვის?

ჰაი, ჰაი, რომ ასეთი კითხვების დასმა შეიძლება ჩვენში უოველ ამ დროს და პასუხათ უოველთვის უსიტყვოთ თავის გაქნევა იქნება.

ასე იყო ამ ათის წლის უკანაც და ასეა დღესაც და, ვინ იცის, ახლო მომავალიც კი რას გვეტყვის?..

სკოლა ღვიძლი შვილია საზოგადოების, მის მიერ აღზრდილი, მისი ძუძუთ ნაკვები, სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი. ცემს საზოგადოებრივი მაჯა, ცოცხალია სკოლაც... ერთის სიხარული მეორის სიხარულიცაა, ერთის ტკივილი, მეორის ტკივილიცაა... თუ საზოგადოება მოჩაა, სკოლაც მოჩნებს ზრდის, თუ საზოგადოებაში დაფასებულია ადამიანის პიროვნება, არც სკოლაში ითელება მისი პირადი „მე".

ცხოვრება უოველ წამს წინ მიდის ხან ნელის, ხან აჩქარებულის ნაბიჯით. სკოლაც მასთან უნდა იყოს, მასთან ერთათ უნდა მიდიოდეს პროგრესის გზაზე. სკოლის საკითხი ისეთივე მრავალფეროვანი და ფერადია, როგორც თვით ცხოვრება. რომელი კითხვა გინდათ ცხოვრების მიერ გადასაწყვეტათ წამოყენებული, რომ სკოლას არ ეხებოდეს, ხან პირდაპირ, ხან არაპირდაპირ. ერთ ემოქაში ერთგვარი აღზრდის პრინციპები ბატონობენ, მეორეში მეორე.

რა მოხდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ბოლო წლებში? ძირითადი შერყევა ძველი ტრადიციების, ძველისძველი შეფასება უოველგვარ ღირებულებათა. საზოგადოებამ შეაფასა არსებული ეკონომიურ-პოლიტიკური პირობები და უარყო ისინი, აწონ-დაწონა ზნეობრივი მცნებანი და უარყოფითი ნიშანი დაუსვა მათ. უოველ დარგში საკითხის ძველისძველი დასმა და გადაწყვეტა მოითხოვა. აუცილებელ საჭიროებათ სცნო მთელი ცხოვრების გარდაქმნა, განახლება. ეს ნგრევა-შენების პროცესი, რასაკვირველია, სკოლაშიაც შეიჭრა. მძლავრათ მიეჭრა ჩაკეტილ სკოლის კარებს ცხოვრების გარდამქმნელი ტალღა.

პირველათ სკოლა თითქოს გამოეხმაურა მშობლებს-საზოგადოებას, სტუმართ-მოყვარეობით გაუღო კარები, მარა კვლავ დახურა „ხალხის მტერთა და მზრუნველთა", კვლავ ჩაიკეტა კარები... არ უნდა ეშინოდეს დაუმსახურებელ საზოგადოებას... ის უწინდელ, დრო მოჭმულ გზაზე დადგოს დამოს, არ იმჩნევს ... ... ...გულის თქმას...

როგორ უნდა იქცეოდეს ასეთ დროს მასწავლებელი—ხალხის შვილი? ჩაიკეტოს სკოლის კარები და ემონოს განმანადგურებელ ატმოსფერას, თუ თან შეუერთოს ცხოვრების ცხოველ-მყოფელი ნაკადულები?.. დაასამაროს სკოლა არა მკითხე „მზრუნველებთან" ერთად, თუ შიგნიდან ააფეთქოს ეს „ხალხის მტერთა" უძლიერესი ციტადელი?

თუ სურს მასწავლებელს სკოლასთან ერთად გარიყულ არ იქნეს ცხოვრების მიერ, საზოგადოების ინტერესებს უნდა იცავდეს მას ემსახურებოდეს, უკმეხდეს გუნდრუკს...

თუ სურს მასწავლებელს თავის დანიშნულებას ჭეშმარიტად ასრულებდეს, უნდა სკოლა საზოგადოებას დაუახლოვოს, აცხოვროს მისის ცხოვრებით, ამღეროს მისი სულის კვეთება...

რას აკეთებენ ამ გზაზე ჩვენი სოფლის მასწავლებლები?

რა კეთდება ამ მხრივ სამოსწავლო მთავრობის მიერ?

არაფერი.

ჩვენში ძვირია მოქალაქე მასწავლებელი, ძვირია ხალხის ინტერესებს მტკიცე აღმზრდელი.

იქ, დაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც ხალხის ინტერესები ასე თუ ისე ფასდება, ზაფხულობით მასწავლებლებს კურსებს უმართავენ, ლექციებს უკითხავენ.

ჩვენ კი? არაფერი ამის მსგავსი...

ამ მხრივ რუსეთშიაც რიგზეა ცდილობენ. ამ ზაფხულში სამასწავლებლო კურსები იყო პეტერბურგში, მოსკოვში, ხერსონში, ანაპაში და სხვ. თუმცა ისიც მართალია, რომ ბევრგან ნება არ დართეს კურსები მოეწყოთ; მთავრობა, როგორც დღევანდელ მდგომარეობას შეეფერება წინააღუდგა ასეთ განზრახვებს.

ჩვენში კი, არც მთავრობა შეუწუხებია თავისი ვინმეს და არც თავისი თავი.

ძინავს ყველას... კერძო პირებს, თვითმმართველობებს. რუსეთში ერობებმა და საქალაქო თვითმმართველობებმა დიდი ნაბიჯი წარსდგეს წინ ამ გზაზე. ჩვენში კი?..

წერა-კითხვის საზოგადოებას წელს კურსების გამართვა უნდოდა, მარა საჭირო 600 მ. ვერ იშოვა. საქმე დაიშალა.

---

...თვით ბ-ნი ანარქისტები უქადაგებენ მუშებს მიმართონ სახრჩობელას სოციალისტების წინააღმდეგ.

ისინი, ანარქისტები, ყველაზე უფრო მარცხნით დგანან. მარტივია მათი შეხედულება, მათი ჭეშმარიტება, მათი ანარქიზმი—ააფეთქე ყველაფერი, გაიწი წინ და დაამსხვრიე ვინც წინ დაგიდგება, ნუ დაზოგავ „მტრებს", სიკვდილი მათ, იძიე შური—აი მათი ანარქიზმი. ანარქიზმი მათი მიზანი როდია, პროგრამა როდია, ეს ტაქტიკაა, ბრძოლის საშუალებაა, რომელსაც არ სწამს არაფერი ბრძოლაში გარდა თოფისა, ბომბისა, სისხლის ღვრისა. საშინლათ სძულთ მათ სოციალდემოკრატები და სოც.-რევოლიუციონერები; უმთავრესათ პირველნი, ეს იმიტომ, რომ სოციალისტებს არ სწამთ წარა-მარა მკვლელობა. სოციალდემოკრატები კი ამას გარდა დამნაშავე არიან იმაში, რომ როცა ისინი „გაბატონდებიან" ისევე დაუწყებენ ანარქისტებს დევნას, როგორც დღევანდელი მთავრობა. ამ ღრმათ და სასტიკათ შეურაცხყოფილ, გულწრფელსა და თავდადებულ ხალხს ვიღაცამ უთხრა, რომ ხალხის დამარცხება სოციალდემოკრატების ბრალიაო. გასაკვირველია კიდევ ის, რომ სოციალდემოკრატია, დღეს სასტიკი წინააღმდეგია მკვლელობის, სისხლის ღვრის, ბრძოლისა (ამაში ღრმათ არიან ისინი დარწმუნებულნი). ეს სოციალდემოკრატია „გაბატონდება" თუ არა, უცებ შეუდგება ბატონ ანარქისტების ხოცვაჟლეტას; გაიჩენენ ჯაშუშებს, ჯალათებს, პოლიციელებს. საიდან გაიგეს ეს, ვინ უთხრა, რით დაიჯერა, რა საბუთით—არ ვიცი; ცხადია მხოლოდ ერთი, რომ ისინი ღრმათ არიან ამაში დარწმუნებულნი. და სწორეთ ეს არის შეურაცხყოფილი და საწყენი, რომ ეს გულწრფელი და პატიოსანი კაცები გიცქერიან შენ, სოციალდემოკრატს, დღეს მისი ბედის მოზიარეს, როგორც მისი ტანჯვა-წამების წყაროს შემდეგში, როცა სოციალდემოკრატები „გაბატონდებიან". შეურაცხმყოფელია ეს, მით უფრო, რომ თვით ბ-ნი ანარქისტები უქადაგებენ მუშებს მიმართონ სახრჩობელას სოციალისტების წინააღმდეგ.

მახსოვს, ლონდონში ყოფნის დროს, ანარქისტების კლუბში მომყიდეს ერთი ბროშიურა, სახელწოდებით: **„საბრალმდებლო ოქმი სოც.-დემოკრატებისა და სოც.-რევოლიუციონერების წინააღმდეგ"**, რომელშიაც ვიღაც ნერვებ აშლილი და დამთხვეული ანარქისტი ურჩევს მუშას, სოციალურ რევოლიუციის პირველ დღეს, ყველაზე უწინ, თუ გინდა რომ გაიმარჯვო სოციალისტები ჩამოჰკიდე ფანარზეო. ჯაშუშები, პოლიციელები, მდიდრები, და სხვანი, შემდეგ, სოციალისტები კი ყველაზე უწინ დაახრჩეო. და აი, ეს „რაინდნი უებარნი და უშიშარნი" ატყუებენ გულწრფელ მუშებს, რომ სოციალდემოკრატები ჩამოახრჩობს მათ, ბ-ნ ანარქისტებს.

როცა პეტერბურგიდან აქ მოვდიოდი ეტაპით, კ—სკის საგუბერნიო ციხეში ოთხი დღე მომიწია ყოფნა, სადაც ანარქისტების კომპანიაში მომაქციეს. ატყდა ჩვეულებრივი დავა-კამათი, რომლისგან მახსოვს ერთი სასაცილო და საგულისხმიერო სცენა.

ერთი ახალგაზდა, გატაცებული ანარქისტი ამიჩემდა:

— არა, ერთი მითხარით, გიწერიათ თუ არა თქვენ პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურა? გიწერიათ თუ არა? არა, მიპასუხეთ პირდაპირ გიწერიათ თუ არა? გარშემო კი იცქირება. ის წინდაწინ დღესასწაულობს გამარჯვებას, ის ღრმათ არის დარწმუნებული, რომ თუ მე უთხარი კი გვიწერია: მტერია კაცობრიობის, რომ იმას სურს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც ნიშნავს პროლეტარიატის მიწასთან გასწორებას, ჯვარზე ცმას, ან რაიმე ამგვარს და მეც მივეცი მას სასურველი პასუხი:

— კი. კი გვიწერია... კი გვიწერია.

— აი, ხომ ხედავთ! ხომ ხედავთ!

— იმით მიხთით, რომ დაგანებებთ, წამოიძახა მეორე ახალგაზდამ, სიმპატიური სახის მუშა ანარქისტმა და იმის თვალებში გაიელვა სიძულვილის ცეცხლმა,—იმით მიხთით, რომ დაგანებებთ!

აი ასეთ „ანარქისტებს" გადაეყრებით სატუსაღოში, თავდადებულ, გულწრფელ მუშათა ხალხის მოყვარე კაცებს, რომლებიც ასე სასტიკ და ასე დაუმსახურებელ შეურაცხყოფას გაყენებენ. შეუნდე ამხანაგო მკითხველო, რამეთუ თვით არ იციან რა უსამართლოთ იქცევიან!..

მე ბევრი ამხანაგი გავიჩინე მეხუთე კამერაში. მე ვიცი თითქმის ყველა მათგანის ბიოგრაფია, ისე როგორც მათ ჩემი. და ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ყველაზე უწინ მიდგება თვალ-წინ ერთი სახე, ლამაზი, მიმტაცი სახე კოლა დროზდოვისა, რომელიც უკვე გაგზავნეს ჩვენ სატუსაღოდან მოსკოვის ცენტრალურ სატუსაღოში.

— აი ჩემ გვერდში დაწექით ამხანაგო! აქ არის თავისუფალი ალაგი. აი აქ! მესმის საამური ხმა. მე ვიხედები და ვხედავ, ვხედავ არა ადამიანს, ვხედავ ორ მშვენიერ ღრმა თვალებს, რომლებიც მიცინიან, ალერსით მიცქერიან და თითქოს მიმეორებენ პატიჟს, თავისკენ მიწვევენ. მხოლოთ ახლა ვაკვირდები თუ ვის ეკუთვნის ეს თვალები, ვინ არის ის ბედნიერი. და მიკვირს, რომ თითქმის ნახევარი დღე აქ დავყავი და ის არ შემიმჩნევია. მას თოვლივით თეთრი პირისახე აქვს, შავი, სქელი წვერ-ულვაშით და სქელივე წარბებით მაღალ შუბლზე. თმა გადაპარსულია, ისე, როგორც ყველა ტუსაღები, ფეხებში ბორკილი უყრია, ხოლო ბორკილებიანივე ხელები მუხლებზე უწყვია. გახსნილ საკინძ ქვეშ მოსჩანს მისი ცოტათი დაბალი მკერდი—ნიშანი, რომ არც იმდენათ ჯანსაღია. ტუსაღის ტანსაცმელში ის ოდნავადაც არ კარგავს თავის ბუნებრივ სიმშვენიერეს. ან, ვინ იცის, შეიძლება ახლა, ამ ამ ტანსაცმელში ის უფრო მშვენიერია.

ის თითქოს მატყობს, რომ მე მომეწონა ის და ახლა უფრო აშკარათ მიღიმის. მე მივდივარ მისკენ.

— დროზდოვი ვარ, ნიკოლაი დროზდოვი. ყოველივე ღირსება ახდილი, რომელსაც კანონმა სიკვდილი მიუსაჯა და რომელიც კაცთ-მოყვარე გენერალ-გუბერნატორმა ამ სამუდამოთ, ასეთი მდგომარეობით შემიცვალა! და ის ისევ იცინის, ნელა, თითქოს თავისთვის. მიწვდის ხელს. მანიშნებს სად მივიდე, სად დავწვე.

— დიდი ხნით ამხანაგო? მეხითხება ის და თვითვე იძლევა პასუხს,—რა თქმა უნდა, დიდი ხნით, გაგონილი მაქვს შვიდ წელიწად ნახევარი უნდა გაატარო სატუსაღოში.

— განა ეს დიდი ვადაა? ვეუბნები მე. რას ნიშნავს შვიდი წელი საუკუნო კატორღასთან შედარებით! და გულში მწყენს, გულში ღვიძებს საყვედური, რომ მე მაგალითათ შვიდი წელი უნდა დავყო ციხეში, რომელსაც სნეულება კიდევ ფურო შემიმოკლებს, ხოლო ეს კი, ეს კოლა დროზდოვი მუდამ სატუსაღოში უნდა იყოს.

— ეჰე, თქვენ გგონიათ რომ ამდენ ხანს დავრჩები სატუსაღოში?

— მაშ რა? ვეკითხები მე.

— შვიდი წელი თუ აქ გავატარე მერე ვისაც უნდა იმას ქონდეს თავისუფლება, დამილოცნია! მე კი...

— რატომ? რატომ? ეს კაცები ოცი და ოცდა ხუთი წელი ისხდენ სატუსაღოში, გამოვიდენ და კიდევ რაღაცას წარმოადგენენ.

— კარგი ერთი, ეს ჩვენთვის არ დაწერილა ასეთი ნუგეში, ვის რათ გამოვადგები მე შვიდ წელიწადს მერმე? რა საქმისთვის ვივარგებ?

— ვინ იცის... ვინ იცის, როგორ დატრიალდება ბედის ჩარხი.

— მოგვცხეს, ძმავ, არ უნდა ლაპარაკი... გვძლიეს და გადადიან კიდეც მაღლაყს ჩვენ კისერზე. ხედავ?

— ჭკუას გვასწავლიან, ჭკუას!.. მოაწიოს დრო და იმით მიხვდენ, რომ დავზოგავთ. წავიდა ის დრო, როცა გატენილ ზარბაზნებს გულ-მკერდს ვუშვერდით და მხოლოდ ვკვდებოდით. ბ-ნი სოციალდემოკრატები...

— ერთი შენც, ამოჰკიდე ზარი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ეხლა მაინც გაჩერდი... შეხედეთ ამ ყმაწვილს, სიცილით მომიბრუნდა დროზდოვი,—ეს უნდა ჩამოეხრჩოთ და აი, როგორ უხდის სამაგიეროს გენერალ-გუბერნატორს... და ამას გარდა ღრმათ დარწმუნებულია, რომ სოციალ-დემოკრატებმა დაღუპეს რუსეთის რევოლიუცია, რომ გენერალ-გუბერნატორები, პაგრომშჩიკები, შავრაზმელები, ყველა ეს პირები იმიტომ არიან ცოცხალი, რომ სოციალდემოკრატებმა არ დაგვანებეს მათი დახოცვაო.

— რა თქმა უნდა, მაგის საბუთიც ექნება! ვამბობ მე.

— განა ამას დამტკიცება უნდა? ვის ხელში იყო სხვა და სხვა ქალაქები? რა გააკეთეს? გაფიცვები, მიტინგები, წითელი დროშები... დაიჭირეს ერთი ადმირალი და როდი მოჰკლეს, დაამწყვდიეს, სადილ-ვახშამი საუკეთესო სასტუმროდან გამოაწერიეს.

— როგორ ფიქრობ, ის ადმირალი რომ მოეკლათ რევოლიუცია გაიმარჯვებდა? ეკითხება ვიღაცა.

— შენ რომ დაგატუსაღეს, არც საჭმელი უნდა მიეცათ, არც უნდა დაეტოვებით ცოცხალი? ისმის მეორე ალაგას.

**სპ. მცირიშვილი.**

(შემდეგი იქნება).

არც ერთ კერძო პირს ან დაწესებულებას ამის გამო ხმა არ გაუღია. მასწავლებლები, გინაც უპირველესად ეხებოდა ეს, მშვენ-მეტყველურათ დადუმდენ. არავინ ამ აზრს არ გამოხმაურებია. რისთვის არ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში ჩვენი ქალაქების თვითმმართველობებს ხელი გაეწვდინათ წ. კ. საზოგადოებისათვის. აკი ამ თვითმმართველობებსაც აქვთ თავიანთი სკოლები, უგვთ დაქირავებული მასწავლებლები. შეერთებული იყვნენ ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, თფილისის თვითმმართველობანი და მოეწყოთ კურსები, მოეწყოთ ლექციები. მათ მაგიქვის მრეწველთა საბჭოც მოემატებოდათ, გინაიდან მასაც აქვს სკოლები. ნუ თუ ამდენი დაწესებულებანი კურსების მოსაწყობ თანხას ვერ გამოიღებდენ? მსმენლებიც გადიხდიდენ რასმეს და კურსები უთუოდ ხარჯებს დაფარავდა.

ამისათვის ინაციატივა იყო საჭირო, თვითმოქმედების ამოძრავება უნდა მომხდარიყო მარა უმაღლესი წრეები, ვინც უფრო წუთს პატრიოტურათ ხალხის ინტერესებზე ენა პრტყელობს პირველსაც და მეორესაც მოკლებულია.

დაბალ საფეხურებზე[/]მდგომთათვის კი, ჯერ უფრო გზა ან ეკლით მოცულია ან დახშულია. და მიდიან ჩვენი მასწავლებლები სკოლებში ისევ ძველის პრინციპებით, დაჟანგებულის იარაღით, ადამისეული მეთოდით.

სკოლებში გამეფდა იგივ მომშხამველი ატმოსფერა, ძველი აზრები, პრინციპები, ძველი საშუალებანი.

როდემდის? როდემდის?

ვ. მ—შვილი.

# პროვინციის ქრონიკა

**ოზურგეთი.** ქართული თეატრის არტისტების მიერ ქ-6 მ. მდივანის მონაწილეობით, აგარაკ ბახმაროდან დაბრუნების შემდეგ 8, 9 და 10 აგვისტოს ზედი-ზედ სამი წარმოდგენა გაიმართა.—პირველათ (8) ითამაშეს 3 მოქმედებიანი დრამა ტრ. რამიშვილისა „საბედისწერო დამბაჩა“ და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი დ. მესხისა „მოფურჩულია“. „საბედისწერო დამბაჩა“-ში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ბ. გელიძემ (რეზიკოს როლში), და მართლაც ჩინებულათ ჩაატარა თავისი როლი. კარგები იყვნენ აგრეთვე ქ. მ. მდივანი (ხვარამზე), ეფ. წუწუნავა (როდამ), ალ. წუწუნავა და ვას. ურუშაძე.

9 აგვისტოს დაიდგა 2 მოქ. კომედია თარ. ჯორჯაძისა „პარიზელი ბიჭი“ და „ოთხი იმერელი“ ვოდ. 1 მოქ. დ. მესხისა. პარიზელი ბიჭის როლი შეასრულა ქ 6 მ. მდივანმა და მოხდენილადაც ჩაატარა ის, დანარჩენი მოთამაშენი კი საერთოდ ანსაბლს ხელს უწყობდენ. ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება ბ.ბ. ვ. ურუშაძემ და ალ. ყორყოლიანმა იმერლის როლში. და ბოლოს, ე. ი. 10 აგვისტოს უკანასკნელათ ქ-6 მ. მდივანის საბენეფისოთ წარმოდგენილ იქნა „პრწუალები“ სამ მოქ. დრამა. აქაც მშვენიერათ შესრულეს თავიანთი როლები თითქმის ყველა მოთამაშეებმა. წარმოდგენის გათავების შემდეგ ბ. ს. ხურციძემ წაიკითხა სცენები სამეგრელოს ცხოვრებიდან და ვას. ურუშაძემ გურული სცენები აგრეთვე ბ.ბ. ალ. წუწუნავამ და ვას. ურუშაძემ შეასრულეს სხვა და სხვა კუპლეტები „ვაი-ვუის“ ხმაზე.—როგორც სცენების წაკითხვამ, ისე კუპლეტების შესრულებამ დამსწრე საზოგადოება ძალზედ აცინა...—წარმოდგენას ხალხი შედარებით ცოტა დაესწრო.

# კორესპონდენცია

**ს. სვერი** (ჭიათურის საბოქაულო). ამ სოფელში ორას კომლამდე მცხოვრებია; ამათგან ოც კომლს გარდა სულ ცუცქირიძეები არიან. ამ სოფელშივე სცხოვრობს ვლადიმერ ჯიბოს-ძე წერეთელი, რომლის სახლიც 25 თებერვალს, 1909 წელს დასწვეს კერძო ინტერესით. ამ ბოროტების ჩამდენი იყო თვრამეტი წლის წინათ „პრიგოვორით“ გაცემული გლეხი იასონ რევაზას-ძე ცუცქირიძე. 1905 წ. იასონ ცუცქირიძე თავის ნებით დაბრუნდა სამშობლოში და იწყო ფარულად ცხოვრება. პოლიციამ გაიგო იმისი დაბრუნება და წინადადება მისცა გამოცხადებულიყო, რაც იმან არ აასრულა. ამ ხანებში განმათავისუფლებელი მოძრაობაც დაიწყო და იმას შემთხვევა მიეცა იარაღის შოვნისა. რეაქციის გამარჯვების შემდეგ მან სხვა რაზმელებთან ერთად იარაღი შეინარჩუნა და ყაჩაღობას მიჰყო ხელი. პოლიცია დაჟინებით სთხოვდა სოფელს მის გაცემას, სოფელი კი ყოველ მოთხოვნაზე ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა: „იმ კაცს ჩვენც ეშინია, რადგან იცის, რომ ჩვენ მისი დაჭერა გვინდა, ამიტომ ის ჩვენც გვემალება და არ ვიცით სად არისო“. ერთ საღამოს დაუხვდენ ვლადიმერ წერეთელს და მოკვლას უპირებდენ, მაგრამ წერეთელი შემთხვევით გადარჩა. ცუცქირიძის მოქმედებამ ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა. აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა ცუცქირიძის ბინადრობის გაგება და გზების შეკვრა. ეს, რასაკვირველია, ცუცქირიძემც გაიგო და თავის მხრით გადასწყვიტა ვლადიმერ წერეთლის სახლის დაწვა და მით ხალხის დასჯა. მეხუთე დღეს სახლის დაწვის შემდეგ ის მოკლულ იქნმა სოფ. სვერში ერთ გამოქვაბულ კლდეში. როგორც ზევით არის ნათქვამი, ვლადიმერ წერეთლის სახლი დაიწვა 25 თებერვალს, ნაშუაღამევის სამ საათზე. ასტყდა ზარის რეკა, მოგროვდა ხალხი და ყოველივე ზომა მიიღეს საშველად, მაგრამ ცეცხლი ისე გაძლიერებული იყო, რომ სახლში შესვლა და რაიმე ნივთის გამოტანა შეუძლებელი გახდა. დაიწვა მთლათ სახლი და ორი ბეღელი, სამზარეულო, თავლა და სასიმინდე გადაარჩინეს. მეორე დღეს გაჩნდა ბოქაული თავის სტრაჟნიკებით და ხალხს დამნაშავე მოსთხოვა. ხალხმა ისევ ყაჩაღის ნათესავები მისცა, მაგრამ ბოქაულმა ამას ყურადღება არ მიაქცია. შეაფასეს ზარალი 22,000 მ. ბოქაულმა შეადგინა ოქმი, ბოროტმოქმედებას პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცა და დამნაშავე რალაც მანქანებით ხუთი სოფლის მცხოვრებნი, 500 კომლამდე კაცი გამოვიდა. ერთი დღის შემდეგ გვეწვია მაზრის უფროსიც და ხალხს დამნაშავების გაცემა მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმის გადახდევინებას დაჰპირდა. ხალხს ეგონა, რომ რამდენიმე კაცის მიცემით ჯარიმასაც და განადგურებას გადარჩებოდა; დაასახელეს თერთმეტი კაცი: ორი ლაბაძე, დანარჩენი ცუცქირიძეები და ამდენი უდანაშაულო კაცი ცივ ქვეყნებში გაამგზავრეს, მაგრამ ხალხს ამით მაინც არ ეშველა; გუბერნატორის გადაწყვეტილებით იმ ხუთას კომლ კაცს რომლებიც ოქმში მოჰყვენ ერთი კვირის განმავლობაში 17,000 მანეთი გადახდათ ე. ი. თითოს 31 მან. 50 კ ამ 17,000 მ. 2 ათასი მანეთი ოთხი დარაჯის და ერთი ურიადნიკის ჯამაგირს შეადგენდა, რომელთა „პოსტიც“ ს. სვერში დაინიშნა.

დარაჯების თავგასულობას საზღვარი არ აქვს. მიუხდებიან ამა თუ იმ მოსახლეს, როცა მამაკაცი სახლში არ არის და ქალების გაუპატიურებას ლამობენ, ამას წინათ ვითომ გაჩხრეკის მიზნით მიუხდენ იოსებ ცუცქირიძეს, დედა და ქალიშვილი გარეთ გამოვარდენ მეზობლებში დაიმალენ. ი. ცუცქირიძემ საჩივარი აღძრა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ცემისაგან სამი დღე იწვა. ამის შემდეგ იგ შეურიგდა მათ: ოღონდ ნუ მომკლავთ, და რაც გინდათ ის მიყავითო.

მათი ასეთი თავაშვებულება მაზრის უფროსის ყურამდე მიაღწია. მაზრის უფროსმა და ბოქაულმა ისინი დაიბარა, მარა რა შედეგი მოჰყვება არ ვიცით. ვიცით მხოლოთ, რომ ხალხი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი და არ იცის რა ქნას.

—

**სოფ. შუბანი.** (გურია) ბ. ესე მდივანის და მის მეუღლის, მართა ნიჟარაძის ქალის მოქმედება თეკლე მდივანის დასაფლავებაზე სავსებით იყო აღნიშნული თქვენ გაზეთში. ამან საშინლათ გააწიწმატა ბ. ესე და მისი მეუღლე. დადიან ხალხში და თავს იმართლებენ და თან დასძენენ: „ეს ახალი თაობის სიწამხდრეა რომ ჩვენ გაზეთში ჩაგვწერესო, რადგანაც ასთე მოქმედებენ და აბა, გამობრძანდენ და რამე გაგვიბედონ ამ მხეცებმაო“. ბატონი იესე რამოდენიმე კაცს აბრალებს კორესპონდენციის ავტორობას და ყველას გადასახლებას პირდება.

ისეთი რამე შემთხვევა არ მოხდება სოფელში, რომ ისინი არ დაესწრან. ამას წინათ გარდაიცვალა ყველასაგან პატივცემული ახალგაზდა კაპიტონ ტუღუში. გასვენებაზე დაესწრენ იესე და მისი მეუღლე მიცვალებულის კუბო თავზევით ასწიეს, ამაზე ასტეხეს ყიჟინა: „ეს რა ამბავია, ახალთაობა მოსპობილი მგონია. კუბოს აწევა ზევით არ შეიძლება. ეს „ცოგნობა“ ახალთაობის კაცების მოგონილიაო. თან ქ 6 მართამ ბევრი უზრდელი სიტყვა იხმარა და საზოგადოებაც დაამცირა. ბ. ესე მდივანი დადის ხალხში და თავს იმართლებს. ვერავის ხმა ვერ ამოუღია შიშით. მას მთავრობისაგან ნება დართული რევოლვერი ჰკიდია წელზე და ხანდახან რევოლვერზედაც წაივლებს ხელს. ამას წინათ ბ. იესე დამთვრალი გამოვიდა ხალხში და რევოლვერის სროლა დაიწყო. ხალხი, განსაკუთრებით ქალები ძალაზე შეშინდენ. აქ დამსწრე ბ. ივ. ბერიძემ გამოართვა მას ხელიდან რევოლვერი და გადაუგდო. თქვენ, რადგან რევოლვერის ხმარება არ გცოდნია და ქალებს და ბავშვებს აშინებთ, აწი ნულარ ჩამოიკიდებთ წელზედო. ბ. ესე იმ ღამესვე წავიდა ბოქაულთან და დაჭერილი ბერიძე ჩახატაურში გაამგზავრეს.

აღდგომა ახალ-კვირაშუა ს. ბჟოლიეთში გაიმართა ჩვეულებრივი ბურთის თამაში. ვილაც ბავშვებმა ბატონი იესეს დამპალი ღობე ჩაამტვრიეს. ასეთი რამეები ხშირათ ხდება ბურთის თამაშის დროს, მაგრამ მეზობლები შინაურულათ სწორდებიან. ბ. იესე კი ჩოხატაურში გაიქცა ბოქაულთან, ორი სტრაჟნიკი ამოიყვანა და ხალხს ზარალი მოსთხოვა. საზოგადოთ, ბ. იესე როგორც ამბობენ, დღითი ან მომრიგებელ მოსამართლესთან არის ან ბოქაულთან, ღამით კი თავის სოფელში.

უბ—ძე.

—

**სოფ. სხვავა** (რაჭა). „თავათ არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო“, ასეა სწორეთ ჩვენი საქმე. ჯერ, როცა კარგი მოსავალი იყო, ნახევარი წლის სარჩო ძლივს მოსდიოდა გლეხს. დანარჩენი დრო ჩრდილო კავკასიიდან ან და ქვემო იმერეთიდან მოზიდული სიმინდით იკვებებოდენ. წლევანდელმა ხანგრძლივმა გვალვამ ხომ სულ ცეცხლზე ნავთი დაგვისხა. მკათათვეში წვიმა არ მოსულა. ამ გარემოებამ სიმინდი სანახევროთ აახმო. 27 მკათათვეს დაიწყო წვიმა და შესამჩნევათ აცივდა. თუ ეს ასე გაგრძელდა და ადრე დაგვიზამთრდა, რაც გვადგას სიმინდი გაფურჩა გაუმხმარი, ის მომწიფებას ვეღარ მოასწრებს და მაშინ სიკვდილის მეტი ვეღარა გვიხსნის-რა შიმშილობისაგან.

მესამოცე წლებიდან აქ არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელსაც საზოგადოება ინახავს თავისი ხარჯით და რომელიც ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებებს. მიუხედავათ იმისა, რომ ხალხი გაუნათლებელია, სწავლის საჭიროება ყველასა აქვს შეგნებული. სკოლაში შესვლის მსურველთა რიცხვი ყოველ წელს თვალსაჩინოთ აჭარბებდა ნორმას. წელს ეს სასწავლებელი ორ კლასიანათ უნდა გადაკეთდეს. ორი მასწავლებელიც ჰყავთ. მთავრობამ გადასდო 240 მ: შენობის შესაკეთებლათ და მიიღო თავის თავზე პირველი მასწავლებლის ჯამაგირი. სოფელმაც სიამოვნებით დაუთმო კანცელარიის შენობა და უკვე აირჩია კომისია შესაკეთებლათ.

ორ კლასიანი სასწავლებელი, თქმა არ უნდა, თუ სავსებით ვერა, მაინც უკეთ დააკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებებს. სასურველია, რომ მასწავლებელთაგანი ერთი ქალი იყოს, რომელსაც შეიძლოს ბავშვებს ჭრა-კერვა ასწავლოს. რაც ხალხს ერთიორათ უფრო შეაყვარებს სკოლას, მაგრამ თუ მეორე მასწავლებელიც ისეთი გამოდგა, როგორც ეხლანდელია, რომელიც ყოველგვარს კულტურულს მუშაობას ისე გაურბის, როგორც მართლ-მორწმუნე ებრაელი დორის ხორცს, ხოლო ქორწილებსა, ლხინსა და ზურნაზე ბუქნაში ტოლი არა ჰყავს, მაშინ ჩვენი სასწავლებელი განათლების ტაძარს კი არა, უფრო სხვა რამეს დაემზგავსება.

არ იქნებოდა ურიგო, რომ სამკითხველოსათვისაც ეზრუნათ, მაგრამ ამ მხრით ადგილობრივმა ინტელიგენციამ დიდი უგნურობა გამოიჩინა. სამკითხველოს დაარსებაზე ეს ათ წელიწადზე მეტია, რაც ლაპარაკობენ, საქმით კი ვერას ვედირსეთ. რამდენიმე წარმოდგენაც კი გაიმართა 1902—1903 წლებში. აგრეთვე 1907 წ. მაშინ მოგროვილი ფული ხუთ თუმნამდე დღესაც არის კერძო პირების ხელში, და საზოგადო საქმეს რომ მოახმარონ, ვერ მოუხერხებიათ. შარშან დაიწყეს ლაპარაკი სამკითხველოს დაარსების შესახებ, ამოირჩიეს კომისია, რომელმაც წესდება შეიმუშავა, მაგრამ ჯერჯერობით წესდება წესდებათ დარჩა და საქმე ერთ წერტილზე გაიყინა.

25 ივლისს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „გატრუებული იმედები“ აზიანისა და „არსენა“ ყაზბეგისა. საზოგადოთ, ხალხი კმაყოფილი დარჩა წარმოდგენით. წარმოდგენის ინიციატორებს მადლობის მეტი რა ეკუთვნით, მაგრამ არ შეგვიძლია რამდენიმე თვალსაჩინო ნაკლზე არ მივუთითოთ.

სოფელში ხმა გაავრცელეს, რომ წარმოდგენის წმინდა შემოსავალი საზოგადო საქმეს მოხმარდებაო. წინა წლებში თუ სრული შემოსავალი 15—20 მ. მეტს ვერ ადემატებოდა, ეხლა შემოსავალი 36 მ. იყო, ხარჯი 25 მ. დანარჩენი წმინდა შემოსავალი სცენის მოყვარეთა უმრავლესობამ, უმცირესობის პროტესტის წინააღმდეგ, გაინაწილეს. თითოს ერგო 70 კ. ამ ფაქტს კომენტარიები არ ესაჭიროება. ამ გარემოებას არ შეეძლო ცუდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა საზოგადოებაზე, რომელმაც თავისი თავი საპატრიანათ ჩასთვალა მოტყუებულათ.

ფიფი.

—

**ს. წალვერი** (ბორჯ. ხეობა). არ იქნა და არა, ყოფილ „წითელ-რაზმელების“ თარეშს ბოლო არ მოეღო ბორჯომის ხეობაში და კერძოთ ს. წალვერში, რამაც აუტანელ გაჭირვებაში ჩააყენა ადგილობრივი მცხოვრებლები, მთავრობის რეპრესიების გამო...

ჯერ კიდევ ამ სამი თვის წინეთ ს. „ტიმოთისუბანში“ ისინი თავს დაესხენ გიდაც გზაზე მიმავალ ოსს, რომელიც რამდენიმე ტყვიით დასჭრეს. ამის გამო ს. წაღვერში დააპატიმრეს 9 კაცი, ადგილობრივი მცხოვრებლები, რადგან ვითომც მთავრობის გამოკვლევით, თავ-დამსხმელთა კვალი ს. წაღვერისკენ წამოსულიყო. დიდი თხოვნის და მეცადინეობის შემდეგ, როგორც იქნა გაანთავისუფლეს ორი თვის შემდეგ. არ გასულა მას შემდეგ თვენახევარი, რომ რევოლვერის თორმეტი ტყვიით მოკლეს ს. წაღვერში ერთი აჭარელი თათარი, რომელიც ტყის მცველობის ადგილს სთხოვდა აქაურ „ლესნიჩს“—კარსელდოვს. ამის გამო 28 ივლისს აქ (და არა ცემში, როგორც ამას წერს გაზ. „დროება“) ჩამოაყენეს ეგზეკუცია, რომელიც შესდგება ოცი ცხენოსანი ყაზახ-რუსებისაგან, ორი აფიცრით. მათი შენახვა სოფელს უჯდება ყოველ დღიურათ 25 მ., ამოდენა ხარჯი თავს აწევს მთელი თავგიჯი სიმძიმით 27 კომლ კაცს.

ჯარის ჩამოყენება ცუდ გავლენას ახდენ აგრეთვე აქ მყოფ მოაგარაკეებზედაც, რომელთა უმრავლესობა, სხვა და სხვა ავათმყოფობის გამო ჩამოსულან ჯანმრთელობის შესაძენათ და დასასვენებლათ...

ასეთია ყოფილ „წ. რაზმელების“ მოქმედება აქეთ, და როგორც ამბობენ, „კიდევ ურევს“ გვპირდებიან შემდეგში... და ყოველივე ამის შემდეგ, ნუ თუ კიდევ გაუგებარი უნდა იყოს ზოგი გულუბრყვილოებისათვის, რომ ისინი არ ემსახურებიან ხალხის ინტერესებს“,—არამედ მოქმედებენ მის წინააღმდეგ?!

—ლი.

# წერილი რედაქციას

სოსო დავრიშევის შესახებ რუსულ და ქართულ გაზეთებში გავრცელებულ ხმების გამო პარიზელ ქართველ საზოგადოებას ჰქონდა მსჯელობა და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „პარიზელი ქართველი საზოგადოება, იღებს რა მხედველობაში რუსეთში გავრცელებულ ხმებს ერთ მის წევრის, სახელდობრ, ს. დავრიშვილის, პროვოკატორობაზე, ადგენს, რომ ეს საქმე **თვით საზოგადოების საქმეა** და ამიტომ იგი გამორკვეული უნდა იქნეს, რათა ამით წაშლილ იქნას ის ჩირქი, რომელიც ეხება როგორც საზოგადოებას, ისე დაინტერესებულ პირს“.

ამ რეზოლიუციის სისრულეში მოსაყვანად კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა უპირველეს ყოვლისა მიმართოს წერილობით იმ გაზეთებს, რომელთაც ამ ხმების გავრცელებას ხელი შეუწყვეს. ამ მიზნით კომისიამ „რუსსკოე სლოვოს“ რედაქციას შემდეგი წერილი გაუგზავნა: „თქვენის გაზეთის მე-158 და 159 ნომერში დაბეჭდილი იყო თქვენი პეტერბურგელი კორესპონდენტების ცნობანი, რომელიც ეხებოდა ჩვენს თანამემამულეს და ჩვენის საზოგადოების წევრს სოსო დავრიშევს. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს თქვენი კორესპონდენტების გულწრფელობაში, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი შეცდომაში შეუყვანიათ. ასეთია დასკვნა ამ საქმის გამო პარიზელ ქართველ საზოგადოების მიერ არჩეულ კომისიისა, მაგრამ ვიდრე კომისია გამოაქვეყნებდეს თავის საბოლოო დასკვნას, იგი მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ: გვაცნობოთ, გაქვთ თუ არა ხელთ რაიმე საბუთები, ამას გარდა, რაც მოთავსებულია თქვენი გაზეთის დასახელებულ ნომრებში? საჭიროთ ვრაცხთ დავუმატოთ, რომ კომისია თავის მხრივ განაგრძობს მუშაობას ამ საქმის გამო ზოგიერთ საზღვარ-გარეთელ ემიგრანტების დახმარებით, რომელნიც დაახლოვებით იცნობენ დავრიშევის მოღვაწეობას, როგორც კავკასიაში, ისე დასავლეთში. უკეთუ თქვენი რედაქცია არავითარ პასუხს არ მოგვცემს, იძულებული ვიქნებით ვიფიქროთ, რომ მას დასამტკიცებელი რამ არა მოეძევება რა, და კომისია თავის მუშაობას განაგრძობს ამის და მიხედვით.

რადგან თითქმის იმავე ხასიათის წერილი, როგორიც დაისტამბა „რუსკოე სლოვო“-ში, მოათავსა ქართულმა გაზეთმა „ჩანგმაც“ (№ 13), კომისიას აქვს პატივი მიმართოს ამ გაზეთის რედაქციასაც *) იმავე წინადადებით, როგორითაც მან მიმართა „რუსსკოე სლოვოს“ რედაქციას.

ამასთან, კომისიას ჰგონია, რომ ურიგო არ იქნებოდა, ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფები ყურადღებას მიაქცევდეს ამ საქმეს და მას დაწვრილებით გამოიკვლევდენ ადგილობრივ და ამით ხელს შეუწყობდენ ჭეშმარიტების აღდგენას.

კომისიის მონდობილობით **ალექსანდრე გაბუნია.**

20, Avene de Clicvy, Livry (seto). France

# წერილი რედაქციის მიმართ

„ჩანგის“ მე-38 №-ში ბ. ჩიქოვანი სამედიატორო სამართალში მიწვევს. თანახმა ვარ შემდეგი პირობით: 1, გამტყუნებულმა მხარემ უმუშევართა სასარგებლოთ გადაიხადოს 15 მანეთი. 2, განაჩენი უსათუოთ გამოცხადებულ იქნეს გაზეთ „ჩანგში“. მედიატორეებათ ჩემის მხრით ვნიშნავ ვალერიან ვაშაკიძეს და სერგო თავდიშვილს.

პროლეტარი.

—

„ჩანგის“ მე 33 № მოთავსებულია პროვინციის ქრონიკაში პატარა წერილი რომელიც ეხება სამსონ წვერავას ეჭვი ჩემზე მოიტანა და, ვინ იცის რით არ, მემუქრება. გთხოვთ გამოაცხადოთ რომ ის წერილი მე არ მეკუთვნის.

**გრიგოლ დოლიძე. **)**

**რედაქციისაგან:** ცნობები ს. დავრიშევის შესახებ ჩვენ გადმოღებული გვქონდა „რუსსკოე სლოვოდან“, ხოლო, რაც ხსენებულ ცნობებს რედაქციამ თავის მხრით დაუმატა, ამის შესახებ მასალებს მიაწვდის პირდაპირ საზღვარ-გარეთ კომისიას.

**) რედაქცია ამოწმებს, რომ აღნიშნული წერილი გრიგოლ დოლიძეს არ ეკუთნის.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. დადიშკელიანი.**

# მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 8 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 9|10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 8 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).